



საქართველო ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება

N 607
01/03/2018

607-02-4-201803011812



საქართველო, ქალაქი ამბროლაური ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 76-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-54-ე მუხლების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით დამტკიცდეს:

ა) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა დანართი 1 -ის შესაბამისად;

ბ) 2018 -2019 წლების ამბროლაურის მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი 2 - ის შესაბამისად;

გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი ინფორმაციის ნუსხა 3-6-ე დანართების შესაბამისად.

2. დაევალოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელს ბეჟან კობახიძეს ერთი თვის ვადაში შეადგინოს:

ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი2) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა (სამუშაო ჯგუფთან შეთანხმებით);

გ) კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისთვის (რისთვისაც შესაძლებელია მოწვეული იქნეს ექსპერტი);

დ) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები.

3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურმა, ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (კოსტავას ქუჩა N13).

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ზვიადი მხეიძე



მუნიციპალიტეტის მერი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია